სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია”

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

1 **აუქციონის საგანი:**

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია” (შემდგომში: “კორპორაცია”) აცხადებს აუქციონს **10 000 (ათი ათასი)** ტონამდე ნედლი ნავთობის გაყიდვასთან დაკავშირებით, საიდანაც Georgian Light ტიპის სავარაუდო მოცულობა შეადგენს **8 000 (რვა ათასი)** ტონას, ხოლო Georgian Heavy ტიპის სავარაუდო მოცულობა შეადგენს **2 000 (ორი ათასი)** ტონას.

და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2 **სარეალიზაციო ქონების დასახელება:**

2.1 “კორპორაცია” პოტენციურ მყიდველს სთავაზობს ნავთობს შემდეგი ხარისხის მაჩვენებლებით:

Georgian Light:

სიმკვრივე: 20^0C –ზე - 0,810-0,8550 გრ/სმ^3;
გოგირდის მაქსიმალური წონითი შემცველობა: 0,3%;
წყლის მაქსიმალური წონითი შემცველობა: 1%.

Georgian Heavy:

სიმკვრივე: 20^0C –ზე - 0,8551-0,925 გრ/სმ^3;
გოგირდის მაქსიმალური წონითი შემცველობა: 0,6%;
წყლის მაქსიმალური წონითი შემცველობა: 3.5%.

3 **მიწოდების პირობები:**

3.1 EXW (Incoterms 2010) პირობით

3.1.1 Georgian Light ტიპის ნავთობის მიწოდება განხორციელდება:
3.1.1.1. გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში მდებარე

GEORGIAN OIL AND GAS CORPORATION JSC

AUCTION ANNOUNCEMENT

1 **Subject**

"Georgian Oil and Gas Corporation" JSC (hereinafter “Corporation”) is announcing an Auction for sale of up to **10 000 (ten thousand)** tons of Crude Oil, out of which estimated amount of Georgian Light type oil is up to **8 000 (eight thousand)** tons and estimated amount of Georgian Heavy type oil is up to **2 000 (two thousand)** tons.

All interested candidates are welcome to participate in the Auction.

2 **Description of Goods**

2.1 “Corporation”offers the potential buyer crude oil with the following quality:

Georgian Light:

Density: 0.810-0.8550 gm/cm^3 at 20 C^o
Sulphur content: max 0.3%
Water content: max 1%

Georgian Heavy:

Density: 0.8551-0.925 gm/cm^3 at 20 C^o
Sulphur content: max 0.6%
Water content: max 3.5%

3 **Terms of Delivery**

3.1. Under EXW (INCOTERMS 2010) terms

3.1. 1. Georgian Light type oil will be delivered as follows:
3.1.1.1. under EXW (INCOTERMS 2010) terms, on the oil-gathering

„კორპორაციის“ ნავთობის პირველადი დამუშავების სამსახურის ტერიტორიაზე არსებულ ნავთობის შემკრებ პუნქტში (სტაციონალური ობიექტის სარეგისტრაციო ნომერი 1120057) EXW (INCOTERMS 2010) პირობით (ჩატვირთვა „მყიდველის“ მიერ მოწოდებულ ავტო-ცისტერნებში);

3.1.1.2. გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში მდებარე (თელეთის №1 სარეწი) ნავთობის შემკრებ პუნქტში (სტაციონალური ობიექტის სარეგისტრაციო ნომერი 1120056) EXW (INCOTERMS 2010) პირობით (ჩატვირთვა “მყიდველის” მიერ მოწოდებულ ავტო-ცისტერნებში).

3.1.2. Georgian Heavy ტიპის ნავთობის მიწოდება განხორციელდება:

3.1.2.1 გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში მდებარე (თელეთის №1 სარეწი) ნავთობის შემკრებ პუნქტში (სტაციონალური ობიექტის სარეგისტრაციო ნომერი 1120056) EXW (INCOTERMS 2010) პირობით (ჩატვირთვა “მყიდველის” მიერ მოწოდებულ ავტო-ცისტერნებში);

3.1.2.2 ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში მდებარე სარკინიგზო ჩიხში არსებულ ნავთობის შემკრებ პუნქტში (სტაციონალური ობიექტის სარეგისტრაციო ნომერი 1140071) EXW (INCOTERMS 2010) პირობით (ჩატვირთვა „მყიდველის“ მიერ მოწოდებულ ავტო-ცისტერნებში ან/და ვაგონ-ცისტერნებში);

3.1.2.3 გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოში არსებული ნავთობის შემკრებ პუნქტში (სტაციონალური ობიექტის სარეგისტრაციო ნომერი 1120039) EXW (INCOTERMS 2010) პირობით (ჩატვირთვა „მყიდველის“ მიერ მოწოდებულ ავტო-ცისტერნებში);

3.1.2.4 ქალაქ დედოფლისწყაროს სარკინიგზო ჩიხში არსებულ ნავთობის შემკრებ პუნქტში (სტაციონალური ობიექტის სარეგისტრაციო ნომერი 1160015) EXW (INCOTERMS 2010) პირობით (ჩატვირთვა „მყიდველის“ მიერ მოწოდებულ ავტო-ცისტერნებში ან/და ვაგონ-ცისტერნებში);

3.1.2.5 გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში მდებარე „კორპორაციის“ ნავთობის პირველადი დამუშავების

facility located on the territory of the Primary Oil Treatment Unit of "Corporation" in village Sartichala, Gardabani region (stationary object registration number 1120057) (to be loaded in oil tank cars supplied by the Buyer);

3.1.1.2. under EXW (INCOTERMS 2010) terms, on the oil-gathering facility located in village Gamarjveba, Gardabani region (Teleti oilfield No. 1) (stationary object registration number 1120056) to be loaded in oil tank cars supplied by the Buyer).

3.1.2. Georgian Heavy type oil will be delivered:

3.1.2.1. under EXW (INCOTERMS 2010) terms, on the oil-gathering facility located in village Gamarjveba, Gardabani region (Teleti oilfield No. 1) (stationary object registration number 1120056) to be loaded in oil tank cars supplied by the Buyer);

3.1.2.2. under EXW (INCOTERMS 2010) terms, in the railway terminal located in village Supsa, Lanchkhuti region (stationary object registration number 1140071) (to be loaded in oil tank cars and/or oil tank wagons supplied by the Buyer);

3.1.2.3. under EXW (INCOTERMS 2010) terms, on the oil-gathering facility located in village Norio, Gardabani region (stationary object registration number 1120039) (to be loaded in oil tank cars supplied by the Buyer);

3.1.2.4. under EXW (INCOTERMS 2010) terms, at Dedoplistskaro railway station terminal (stationary object registration number 1160015) (to be loaded in oil tank cars and/or oil tank wagons supplied by the Buyer).

3.1.2.5. under EXW (INCOTERMS 2010) terms, on the oil-gathering facility located on the territory of the Primary Oil Treatment Unit of "Corporation" in village Sartichala, Gardabani region (stationary object registration number 1120057) (to be loaded in oil tank cars supplied by the Buyer).

სამსახურის ტერიტორიაზე არსებულ ნავთობის შემკრებ პუნქტში (სტაციონალური ობიექტის სარეგისტრაციო ნომერი 1120057) EXW (INCOTERMS 2010) პირობით (ჩატვირთვა „მყიდველის“ მიერ მოწოდებულ ავტო-ცისტერნებში).

3.2 FCA (Incoterms 2010) პირობით

3.2.1 Georgian Light ტიპის ნავთობის მიწოდება განხორციელდება FCA (INCOTERMS 2010) პირობით სოფელ ვაზიანის რკინიგზის სადგურის ჩიხში (ობიექტის სტაციონარული დანიშნულების კოდი – 1120011 ჩატვირთვა მყიდველის კუთვნილ ვაგონ-ცისტერნებში).

3.2.2 Georgian Heavy ტიპის ნავთობის მიწოდება განხორციელდება:

3.2.2.1. FCA (INCOTERMS 2010) პირობით სოფელ ვაზიანის რკინიგზის სადგურის ჩიხში (ობიექტის სტაციონარული დანიშნულების კოდი – 1120011, ჩატვირთვა მყიდველის კუთვნილ ვაგონ-ცისტერნებში);

3.2.2.2. FCA (INCOTERMS 2010) პირობით სოფელ სუფსის რკინიგზის სადგურის ჩიხში (ობიექტის სტაციონარული დანიშნულების კოდი – 1140071, ჩატვირთვა მყიდველის კუთვნილ ვაგონ-ცისტერნებში);

3.2.2.3 FCA (INCOTERMS 2010) პირობით ქალაქ დედოფლისწყაროს რკინიგზის სადგურის ჩიხში (ობიექტის სტაციონარული დანიშნულების კოდი – 1160015, ჩატვირთვა მყიდველის კუთვნილ ვაგონ-ცისტერნებში).

3.3. ნავთობის მიწოდების დეტალური პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით (შემდგომში: “ხელშეკრულება”). “ხელშეკრულება” წარმოადგენს ამ განცხადების განუყოფელ ნაწილს, რომლის პირობებთან თანხმობას აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ადასტურებს განაცხადის წარდგენით. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია “ხელშეკრულება” გააფორმოს “კორპორაციის” მიერ განსაზღვრული, ან მასთან არსებითად იდენტური პირობებით.

3.4. “ხელშეკრულების” მოქმედების პერიოდი განისაზღვრება ხელმოწერის დღიდან **9 თვის** განმავლობაში.

3.2. Under FCA (INCOTERMS 2010) terms

3.2.1. Georgian Light type oil will be delivered:
under FCA (INCOTERMS 2010) terms, at Vaziani railway station terminal (terminal code: 1120011, to be loaded into the Buyer’s oil tank wagons).

3.2.2. Georgian Heavy type oil will be delivered:
3.2.2.1. under FCA (INCOTERMS 2010) terms, at Vaziani railway station terminal (terminal code: 1120011, to be loaded into the Buyer’s oil tank wagons);
3.2.2.2. under FCA (INCOTERMS 2010) terms, at Supsa railway station terminal (terminal code: 1140071, to be loaded into the Buyer’s oil tank wagons);
3.2.2.3. under FCA (INCOTERMS 2010) terms, at Dedoplistskaro railway station terminal (terminal code: 1160015, to be loaded into the Buyer’s oil tank wagons).

3.3 Detailed terms and conditions of oil deliveries will be defined by the Contract (hereafter “Contract”). The „Contract“ represents an integral part of this Announcement and the Auction Winner consents to its terms and conditions by submitting the application. The Auction Winner is obliged to sign the „Contract“ under the terms and conditions defined by “Corporation” or under the terms and conditions materially identical to those defined by “Corporation”.

3.4 The „Contract“ shall be in force within **9 month** from the date of signature.

4 აუქციონში მონაწილეობის პირობები:

4.1 აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია "კორპორაციის" საბანკო ანგარიშზე წინასწარ ჩარიცხოს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი ან ამ თანხის ექვივალენტური ოდენობა ლარებში ჩარიცხვის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად ან "კორპორაციას" წარუდგინოს ზემოთ ხსენებულ თანხაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გამოუთხოვადი და უპირობო საბანკო გარანტია, კონტრგარანტია ან აკრედიტივი, რომელიც ძალაში უნდა იყოს აუქციონის ჩატარების დღიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში და რომელიც გამოყენებული იქნება ამ განცხადების მე-8 პუნქტით დადგენილი წესით (შემდგომში ჩარიცხული თანხა, საბანკო გარანტია, კონტრგარანტია და აკრედიტივი მოხსენიებული იქნება როგორც "გადასახდელი"). საბანკო გარანტია, კონტრგარანტია ან აკრედიტივი, გაცემული უნდა იქნას საბანკო დაწესებულების მიერ და მასში ბენეფიციარად მითითებული უნდა იქნას სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია". გარანტიის გამცემ საქართველოში არარეგისტრირებულ ბანკს რეიტინგი უნდა ჰქონდეს მინიმუმ "A" Fitch ან სხვა საერთაშორისო სააგენტოს მიერ მინიჭებული ექვივალენტური რეიტინგი, რაც ავიზებული უნდა იქნას სს "საქართველოს ბანკის" ან სს "თიბისი ბანკის" მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში გარანტია დამოწმებული უნდა იქნას სს "საქართველოს ბანკის" ან სს "თიბისი ბანკის" მიერ. საქართველოში დარეგისტრირებულ კომპანიებს შეუძლიათ წარმოადგინონ საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გამოუთხოვადი და უპირობო საბანკო გარანტია.

4.2 ერთი ნეტო ბარელი ნედლი ნავთობის საბოლოო ღირებულება გამოიანგარიშება აშშ დოლარში და დაანგარიშდება შემდეგნაირად: "ხელშეკრულების" ხელმოწერის დღეს და მის მომდევნო ორ დღეს „S&P Global, Inc."-ის გამოცემაში გამოქვეყნებული Urals CIF Med - Georgian

4 Participation Terms

4.1 Interested bidders shall, in advance, deposit USD 50000 (fifty thousand) or equivalent in national currency of Georgia using official exchange rate published by the National Bank of Georgia on the day deposit is made) on the "Corporation's" bank account or submit to "Corporation" an irrevocable and unconditional bank guarantee, counter-guarantee or LC issued for the above amount by the banking institution, which shall be valid during 90 calendar days from the date of the Auction and shall be used according to the provisions of paragraph 8 of this Announcement (hereinafter, the deposit, bank guarantee, counter-guarantee and LC referred to as the "Fee"). The bank guarantee, counter-guarantee or LC shall be issued by a banking institution and JSC "Georgian Oil and Gas Corporation" shall be specified as the Beneficiary in it. The guarantee issuing bank (not registered in Georgia) should have the rate at the minimum "A" of Fitch Rating or other equivalent international rating agency, which shall be notified by JSC "Bank of Georgia" or JSC "TBC Bank". Otherwise the guarantee should be certified by the JSC "Bank of Georgia" or JSC "TBC Bank". The companies registered in Georgia may submit an irrevocable and unconditional bank guarantee issued by a banking institution operating in Georgia.

4.2 The final price for one net barrel of crude oil will be calculated in USD and will equal the arithmetic mean of daily average prices nominated for Urals CIF Med - Georgian Heavy Crude Oil and for Dated Brent - Georgian Light Crude Oil in "S&P Global, Inc." on the date of signing of the "Contract" and during next two days, less the discount set by the Auction. If arithmetic average price of daily average prices for respective

Heavy ნედლი ნავთობისათვის და Dated Brent – Georgian Light ნედლი ნავთობისათვის დღიური საშუალო ფასების საშუალო არითმეტიკულ მნიშვნელობას გამოკლებული აუქციონით დადგენილი დისკაუნტი (**ფასდაკლება**). თუ "ხელშეკრულების" ხელმოწერის დღეს ან მის მომდევნო ორი დღიდან რომელიმე დღეს არ მოხდა ნედლი ნავთობის შესაბამისი სახეობისათვის დღიური საშუალო ფასების საშუალო არითმეტიკული ფასის დადგენა (შემდგომში: "კოტირება"), მაშინ ერთი ნეტო ბარელი ნედლი ნავთობის საბოლოო ღირებულების გამოანგარიშება მოხდება "ხელშეკრულების" ხელმოწერის დღეს და მის მომდევნო დღეებში გამოქვეყნებული სამი "კოტირების" შესაბამისად.

4.3 აუქციონის მონაწილეებს შორის ვაჭრობა გაიმართება "კორპორაციის" მიერ წარმოდგენილი დისკაუნტის **5.50 (ხუთი მთელი ხუთი მეათედი)** აშშ დოლარის მიმართ (ფასდაკლება ერთ ბარელ ნავთობზე) სავაჭრო **0,20 (ნოლი მთელი ორი მეათედი)** აშშ დოლარის ბიჯით შემცირებით.
3.2. პუნქტით განსაზღვრული მიწოდების პირობის შემთხვევაში (რაც განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული რეჟიმის შემთხვევაში გამყიდველს მოუწევს დამატებითი ხარჯების გაღება) აუქციონზე ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებულ დისკაუნტს გამოაკლდება **1.00 აშშ დოლარი** ფასდაკლება ერთ ბარელ ნავთობზე, შესაბამისად, მიღებული ოდენობა იქნება ერთი ბარელი ნავთობის გასაყიდი ფასი.

4.4 აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია აუქციონში მონაწილეობის განაცხადის შეტანამდე შეიძინოს აუქციონში მონაწილეობის ბილეთი, რომლის ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს. ბილეთის ღირებულება აუქციონში მონაწილეობის მსურველ პირებს არ დაუბრუნდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აუქციონი არ შედგება "კორპორაციის" მიზეზით.

4.5 "ხელშეკრულების" ხელმოწერა უნდა მოხდეს აუქციონში გამარჯვებული პირის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

type of Crude Oil is not established (hereafter "quotation") on the day of signature of the "Contract" or on any of the two next days, the final price of one net barrel of Crude Oil shall be calculated in accordance with the three "quotations" published on the day of signature of the "Contract" and on the following days.

4.3 The auction will proceed by reducing the discount USD **5.50 (five point five)** per each barrel of oil by USD **0.20 (zero point two)** decrement per each new bid.
In case of delivery term defined by paragraph 3.2 (which is preconditioned by the fact that in case of the above regime the Seller will have to incur additional expenses), **1.00 USD** discount per one barrel of oil shall be deducted from the discount fixed as a result of bidding and accordingly, the obtained amount shall be the selling price of one barrel of oil.

4.4 Prior to submission of application for the auction, interested bidders shall buy the auction participation pass at the price of GEL 50 (fifty Lari). The cost of the participation pass will not be refunded to interested bidders unless the Auction is cancelled by "Corporation".

4.5 The „Contract" is to be signed within 5 (five) business days after the day the Auction Winner is nominated.

4.6 ავტო-ცისტერნების ან/და ვაგონ-ცისტერნების ადგილზე მომსახურების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის და მოცდენის ხარჯი, გარდა გამყიდველის მიზეზით გამოწვეული მოცდენისა, ეკისრება ნავთობის მყიდველს.

4.6 The costs associated with on-site service, operation, safety and all fees associated with oil tank cars and/or oil tank wagons demurrage are to be covered by the Buyer, unless such demurrage is caused by the Seller.

4.7 3.1 მუხლით გათვალისწინებული მიწოდების პირობის შემთხვევაში ანგარიშსწორების დროს ნავთობის ღირებულებას დაემატება დღგ, ხოლო ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.7 In case of delivery term stipulated by Article 3.1, VAT shall be added to the price of oil during payment. Payment shall be made in GEL, according to the exchange rate established by the National Bank of Georgia in accordance with the terms and conditions of the „Contract".

5 გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

5 The Auction Winner Selection Criteria

5.1 აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება აუქციონში მონაწილე, რომელიც ერთი ბარელი ნავთობის ყიდვისათვის "კორპორაციას" შესთავაზებს სხვა მონაწილეებთან შედარებით ნაკლებ დისკაუნტს.

5.1 The Bidder (Auction Participant) who offers the lowest discount for purchasing of one barrel of oil, will be nominated as the Auction Winner.

5.2 აუქციონში მონაწილე, რომელიც პირველი დაიწყებს ვაჭრობას სწევს თავის დაფას, რაც ნიშნავს საწყისი ფასის ბიჯით შემცირებას. ანალოგიური წესი (ვაჭრობის დროს უკანასკნელად დაფიქსირებული ფასის ბიჯით შემცირება) მოქმედებს აუქციონში მონაწილეების მიერ დაფის შემდგომი აწევის შემთხვევაში.

5.2 The Bidder who is the first to start the bidding, shall raise his board, which means reduction of the initial price by one step. The same procedure (reduction of the last recorded price by one step during the bidding) is applied in case of next raising of the board by the auction participants.

6 განაცხადის წარმოდგენის და აუქციონის ჩატარების ვადები

6 Time-frame for Submission of Application and Terms of the Auction

6.1 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა განაცხადი აუქციონის პირობებზე თანხმობის და მონაწილეობის თაობაზე (ამ განცხადებაში სხვაგან მოხსენიებული როგორც "განაცხადი") "კორპორაციაში" უნდა წარმოადგინოს **2022 წლის 30 ნოემბერის** 14^{00} საათამდე. განაცხადს უნდა დაერთოს ამ განცხადების მე-7 მუხლში მითითებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია. აუქციონში მონაწილეობის მსურველმა განაცხადის წარდგენასთან ერთად წერილობით უნდა დააფიქსიროს საკუთარი გადაწყვეტილება მისთვის სასურველ მიწოდების რეჟიმთან დაკავშირებით. აუქციონში გამარჯვებულზე ნედლი

6.1 All interested Bidders, not later than 2.00 pm, **November 30, 2022** shall submit to the "Corporation" application stipulating acceptance of the terms and conditions of the auction and willingness to participate (hereafter "Application"). Information/documents specified in Clause 7 of this Announcement shall be included with to the Application. The interested bidder must specify its decision in connection with the desirable delivery regime together with submission of the application. The crude oil will be delivered to the auction winner according to the regime specified by it when submitting the application.

ნავთობის მიწოდება მოხდება მის მიერ განაცხადის წარდგენის დროს დაფიქსირებული რეჟიმის მიხედვით.

6.2 განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნას "კორპორაციის" სათაო ოფისში შემდეგ მისამართზე:
საქართველო, ქ. თბილისი, ს/ი 0190, კახეთის გზატკეცილი №21,
ტელ: +995 (32) 224-40-40.

6.2 Applications shall be submitted to the head office of „Corporation" at the following address:
21 Kakheti Highway, 0190 Tbilisi, Georgia
Tel: +995 (32) 224 40 40.

6.3 აუქციონი ჩატარდება **2022 წლის 30 ნოემბერის** 15^{00} საათზე, „კორპორაციის" ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21).

6.3 Auction will be held at 3.00 pm. **November 30, 2022** at „Corporation" Head Office (21 Kakheti Highway, Tbilisi).

6.4 აუქციონში მონაწილე სუბიექტის წარმომადგენელი ვალდებულია წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი. პირადობის დამადასტურებელი საბუთის არქონა ჩაითვლება აუქციონზე გამოუცხადებლობად.

6.4 Interested Bidders shall present personal identification document. Person failing to present personal identification document will not be admitted to the Auction.

7. სხვა დოკუმენტები და ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნას განაცხადთან ერთად:

7. Documents and Information to be Submitted by the Interested Bidder along with the Application:

7.1 შესაბამისი საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული "გადასახდელის" გადახდის დამადასტურებელი საბუთი, რომელშიც სხვა მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იქნას გადარიცხული თანხა, გადამხდელი (გადამხდელის დასახელება და რეკვიზიტები უნდა ემთხვევოდეს განაცხადის შემომტანის დასახელებას და რეკვიზიტებს) და გადახდის მიზნობრიობა, ან ამ განცხადების 4.1 მუხლით დადგენილი საბანკო გარანტია, კონტრგარანტია ან აკრედიტივთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

7.1 Proof of payment of the "Fee", issued by a relevant banking institution, specifying the transferred amount, the payer (name and details of the payer shall correspond to the name and details of the interested bidder) and purpose of payment, in addition to other data; or the bank guarantee, counter-guarantee or documentation related to LC stipulated in paragraph 4.1 of this Announcement.

7.2 შესაბამისი საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული მონაწილეობის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბუთი, რომელშიც სხვა მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იქნას გადარიცხული თანხა და გადახდის მიზნობრიობა;

7.2 Proof of payment for Auction participation pass, issued by a relevant banking institution, detailing the purpose of payment and transferred amount;

7.3 ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. თუ აუქციონში მონაწილე არ არის საქართველოს რეზიდენტი, წარმოდგენილი უნდა იქნეს სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის ექვივალენტური საბუთი ან

7.3 Excerpt from Entrepreneurial Register. If the interested bidder is not a resident of Georgia, a document equivalent to Excerpt from Entrepreneurial Register or Letter/Certificate of Good Standing, issued by the authorized body of the country of incorporation, shall be submitted.

წერილი/სერტიფიკატი არარეზიდენტის სამართლებრივი და ფინანსური მდგომარეობის შესახებ (Letter/Certificate of Good Standing), გაცემული დაფუძნების ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელშიც სხვა მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იქნას არარეზიდენტის დირექტორები და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი სხვა პირები. არარეზიდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული საზღვარგარეთ გაცემული საბუთებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ამასთან დასაშვებია აპოსტილირებული დოკუმენტის საქართველოში ნოტარიულად დამოწმებული ასლის წარმოდგენა.

Such document shall indicate directors and other persons authorized to represent the non-resident interested bidder in the Auction. Documents submitted by a non-resident bidder must be certified by an apostille or legalized in accordance with the procedure established under the current legislation of Georgia for documents issued abroad. It is also allowed to submit a copy of the apostilled document notarized in Georgia.

7.4 თუ აუქციონზე შესაბამისი იურიდიული პირის წარმომადგენელია სხვა პირი, დირექტორის ან წესდებით და დაფუძნების ქვეყნის კანონმდებლობით მინდობილობის გარეშე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი სხვა პირის გარდა, უნდა იქნას წარმოდგენილი ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, რომელიც ადასტურებს პირის უფლებამოსილებას იმოქმედოს აუქციონში მონაწილის სახელით. თუ აუქციონში მონაწილე არ არის საქართველოს რეზიდენტი და მინდობილობის ნოტარიულად დამოწმება არ ხდება საქართველოში, მაშინ მინდობილობა დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული საზღვარგარეთ გაცემული საბუთებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დასაშვებია აპოსტილირებული დოკუმენტის საქართველოში ნოტარიულად დამოწმებული ასლის წარმოდგენა. მინდობილობაში უნდა მიეთითოს წარმომადგენელი პირის პირადობის მოწმობის ან საპასპორტო მონაცემები.

7.4 Notarized Letter of Attorney certifying the authority of the person to represent the interested bidder in the Auction, if the relevant legal entity is represented at the Auction by other person, except the Director or other person authorized for representation without Letter of Attorney under the Charter and legislation of the country of origin. If the Bidder is not a resident of Georgia and the Letter of Attorney is not notarized in Georgia, then Letter of Attorney shall come with an apostille or has to be legalized in accordance with the procedure established under the current legislation of Georgia for documents issued abroad. It is allowed to submit a copy of the apostilled document notarized in Georgia. Letter of Attorney shall include personal ID card or passport details of the person representing the interested bidder.

7.5 აუქციონში მონაწილეს რეკვიზიტები: დასახელება, საკონტაქტო მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები.

7.5 Interested bidder information: name, contact address, identification code, telephone and/or fax numbers, bank account details.

8 გადახდის პირობები:

8.1 აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ნავთობის მიწოდების დაწყებამდე წინასწარ გადაიხადოს საავანსო თანხა, მისაწოდებელი ნავთობის ღირებულების 110 (ასათი) პროცენტის ოდენობით. ნავთობის ამგვარი ღირებულება გამოითვლება "ხელშეკრულების" გაფორმების დღისათვის „S&P global, Inc."-ის გამოცემაში გამოქვეყნებული Urals CIF Med - Georgian Heavy ნედლი ნავთობისათვის და Dated Brent - Georgian Light ნედლი ნავთობისთვის გამოქვეყნებული მაქსიმალური ფასის (დისკაუნტის გათვალისწინებით, ანუ მაქსიმალურ ფასს გამოკლებული დისკაუნტის ოდენობა) გამრავლებით მისაწოდებელი ნავთობის ბარელების სავარაუდო რაოდენობის 110 (ასათი) პროცენტზე, რასაც 3.1 პუნქტით განსაზღვრული მიწოდების პირობის შემთხვევაში ასევე დაემატება დღგ. საავანსო თანხის გადახდის ნაცვლად მყიდველს ექნება უფლებამოსილება "კორპორაციას" წარუდგინოს აღნიშნული საავანსო თანხის ოდენობის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გამოუთხოვადი და უპირობო საბანკო გარანტია, კონტრგარანტია ან აკრედიტივი, რომელიც გაცემული უნდა იქნას საბანკო დაწესებულების მიერ და მასში ბენეფიციარად მითითებული უნდა იქნას სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია". გარანტიის გამცემ საქართველოში არარეგისტრირებულ ბანკს რეიტინგი უნდა ჰქონდეს მინიმუმ "A" Fitch ან სხვა საერთაშორისო სააგენტოს მიერ მინიჭებული ექვივალენტური რეიტინგი, რაც ავიზებული უნდა იქნას სს "საქართველოს ბანკის" ან სს "თიბისი ბანკის" მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში გარანტია დამოწმებული უნდა იქნას სს "საქართველოს ბანკის" ან სს "თიბისი ბანკის" მიერ. საქართველოში დარეგისტრირებულ კომპანიებს შეუძლიათ წარმოადგინონ საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გამოუთხოვადი და უპირობო საბანკო გარანტია.

8 Terms of Payment

8.1 The Auction Winner shall pay the "Corporation" the advance amount in advance, on the amount equal to 110 (one hundred ten) percent of the price of oil to be delivered. Such price is calculated by multiplying 110 (one hundred ten) percent of the estimated number of barrels to be delivered and the highest price nominated for Urals CIF Med - Georgian Heavy Crude Oil and Dated Brent – Georgian Light Crude Oil in "S&P Global, Inc." by the day of execution of the „Contract" (considering the discount, i.e. the highest price less the amount of discount) plus VAT in case of delivery term stipulated by Article 3.1. Instead of payment of the advance amount the Buyer shall be entitled to submit to the "Corporation" an irrevocable and unconditional bank guarantee, counter-guarantee or LC for the above advance amount which shall be issued by a banking institution and JSC "Georgian Oil and Gas Corporation" shall be specified as the Beneficiary in it. The guarantee issuing bank (not registered in Georgia) should have the rate at the minimum "A" of Fitch Rating or other equivalent international rating agency, which shall be notified by JSC "Bank of Georgia" or JSC "TBC Bank". Otherwise the guarantee should be certified by the JSC "Bank of Georgia" or JSC "TBC Bank". The companies registered in Georgia may submit an irrevocable and unconditional bank guarantee issued by a banking institution operating in Georgia.

8.2 პირს, რომელმაც აუქციონში მონაწილეობისათვის გადაიხადა “გადასახდელი”, გარდა აუქციონში გამარჯვებულისა, “გადასახდელი”, შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, დაუბრუნდება “კორპორაციაში” შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში. “გადასახდელი” არ დაუბრუნდება იმ პირს, რომელმაც წარმოადგინა აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი საბუთები, მაგრამ არ გამოცხადდა სააუქციონო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად, ან კიდევ გამოცხადდა აუქციონზე, მაგრამ მონაწილეობა არ მიიღო სააუქციონო ვაჭრობაში, რის გამოც აუქციონი არშემდგარად გამოცხადდა. “გადასახდელი” არ დაუბრუნდება აუქციონში გამარჯვებულს ასევე იმ შემთხვევაში, თუ ის კორპორაციასთან აუქციონის ჩატარებიდან, ამ განცხადების 4.5 პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში არ გააფორმებს “ხელშეკრულებას”.

8.2 Upon receipt of a written notice, “Corporation”, within 3 (three) banking days after submission of the respective request to the “Corporation”, will return the “Fee” back to all Auction Participants, except for the Auction Winner. The “Fee” shall not be returned to the interested bidders who submitted relevant documentation, but did not show up to participate in the auction, or showed up, but did not participate in it, resulting in declaration of the Auction void. The “Fee” shall not be returned to the Auction Winner in case the Auction Winner fails to execute the „Contract“ with the “Corporation” within the terms specified by paragraph 4.5 of this Announcement, after holding the Auction.

8.3 აუქციონში გამარჯვებული მონაწილის “გადასახდელი” გამოყენებული იქნება პირგასამტეხლოს სახით, “ხელშეკრულების” გაფორმების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

8.3 The “Fee” will be retained by “Corporation” as a penalty in case the Auction Winner breaches the obligation to execute the „Contract“.

8.4 „მყიდველი“ უფლებამოსილია “გადასახდელი” (როგორც საბანკო გარანტიის, კონტრგარანტიის ან აკრედიტივის წარმოდგენის, ასევე “კორპორაციის” ანგარიშზე თანხის აკუმულირების/დეპონირების შემთხვევაში) გამოიყენოს მისაწოდებელი სასაქონლო ნავთობის საფასურის ანგარიშში, ასევე “ხელშეკრულების" შესრულების უზრუნველყოფის გარანტიასთან დაკავშირებულ ვალდებულების შესასრულებლად.

8.4 The Buyer shall be authorized to use the “Fee” (in case of submission of bank guarantee, counter-guarantee or LC, as well as accumulation/deposition of the amount into the account of the “Corporation”) as offset against the cost of oil to be delivered as well as for performance of the obligation related to Performance Guarantee.

8.5 “გადასახდელთან”, ასევე “ხელშეკრულებით” დადგენილი სხვა საბანკო გარანტიის, კონტრგარანტიის ან აკრედიტივის წარდგენასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის საბანკო გარანტიის ავიზებასა და დამოწმებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, შესაბამისად გაიღებს აუქციონში მონაწილე და აუქციონში გამარჯვებული.

8.5 All costs and expenses associated with provision of “Fee”, and other bank guarantee, counter guarantee or LC stipulated by the „Contract“, including bank guarantee notification and confirmation costs and expenses, shall be borne by the Auction Participant and the Auction Winner respectively.

9 სხვა პირობები:

9.1 აუქციონის განცხადება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება აუქციონის განცხადების ქართულ ვერსიას.

9.2 აუქციონის ჩატარების შესახებ წინამდებარე განცხადების პირობებით დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ასევე "კორპორაციის" ინტერნეტ გვერდზე – www.gogc.ge

9.3 "ხელშეკრულების" პროექტის გასაცნობად და აუქციონთან დაკავშირებით ინფორმაციის/კონსულტაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს **2022 წლის 30 ნოემბერის** 14^{00} საათამდე შეუძლიათ მიმართონ "კორპორაციას", შემდეგ მისამართზე:

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"
საქართველო, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 21.
საკონტაქტო პირი: დავით ვაშაკიძე
ტელ.: +995 (32) 2244040 (გაფართოება – 357)
მობილური: +995 595957271
ფაქსი: +995 (32) 2244041
ელ. ფოსტა: d.vashakidze@gogc.ge

10 საბანკო რეკვიზიტები:

ბანკი:	ს.ს. «თიბისი ბანკი»
მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №7
ა/ა ლარში:	GE 71 TB78 9573 6030 1000 01
ა/ა დოლარში:	GE 88 TB78 9573 6130 1000 02
SWIFT:	TBCBGE22
საკორ.ბანკი:	Citibank N.A., 111 Wall str., New York, N.Y. 10043
SWIFT:	CITIUS33
ABA:	021000089
	TBC BANK's Correspondent Account: #36127097

9 Miscellaneous:

9.1 This Auction Announcement is made in Georgian and English languages. In the case of discrepancy between Georgian and English versions, the Georgian version prevails.

9.2 Information on the Auction is available via the official website of "Corporation": www.gogc.ge.

9.3 All interested bidders are welcome to review the draft „Contract" and receive information/consultation regarding the Auction by addressing "Corporation" until 2.00 pm. **November 30, 2022**, at the following address:

"Georgian Oil and Gas Corporation" JSC
21 Kakheti Highway, Tbilisi, Georgia
Contact Person: Mr. David Vashakidze
Tel: +995 (32) 2244040 (ext. 357)
Mobile: +995 595957271
Fax: +995 (32) 2244041
E-mail: d.vashakidze@gogc.ge

10 Bank Account Details:

Bank:	JSC "TBC Bank"
Address:	7, Marjanishvili Street, Tbilisi, Georgia
Account N. for GEL:	GE 71 TB78 9573 6030 1000 01
Account N. for USD:	GE 88 TB78 9573 6130 1000 02
SWIFT:	TBCBGE22
Intermediary Bank:	Citibank N.A., 111 Wall str., New York, N.Y. 10043
SWIFT:	CITIUS33
ABA:	021000089
	TBC BANK's Correspondent Account: #36127097